ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს №64 სხდომის ოქმი

2012 წლის 27 სექტემბერი ქ. თბილისი

დღის წესრიგი:

1. ფილიალი - „ბრიტანეთის საბჭო საქართველოს“ მიერ 2012 წლის 11 ივნისის №06/044 სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში (რომელიც ახორციელებს ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ინგლისური ენის სწავლებას) წარმოდგენილი ინგლისური ენის პროგრამის განხილვა და დამტკიცება;

2. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ცენტრის დირექტორის, პროფ. ნინო დობორჯგინიძის წარდგინების განხილვა და გადაწყვეტილების მიღება დოქტორანტების: თინათინ კიღურაძის, ირინა ლობჯანიძის და მარინე ლევიძის მიერ ჟურნალ „კადმოსში“ გამოქვეყნებული სტატიების საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებად ჩათვლის შესახებ, ვინაიდან „კადმოსი“ გაწევრიანებულია „EBSCO”-ს ბაზებში;

3. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამის „ხელოვნება: მუსიკა major და minor “ მოდიფიცირებული ვერსიის განხილვა და დამტკიცება;

4. სამართლის ფაკულტეტის ბიუჯეტის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება;

5. 2012-2013 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრის დამატებითი მობილობისათვის 83 სტუდენტის მიღების საკითხის ცნობად მიღება;

6. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 2012-2013 სასწავლო წლის აკადემიურ კალენდარში ცვლილებების შეტანის საკითხის განხილვა და გადაწყვეტილების მიღება (საკითხი ეხება დოქტორანტურის სემესტრის დაწყებას 15 ოქტომბრიდან);

7. ეგვიპტის ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორის, დოქტორ ისმაილ სერაგელდინისათვის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების საკითხის განხილვა და დამტკიცება;

8. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლისა და დეკანთა საბჭოს თავმჯდომარის, ლელა ხომერიკის წარდგინების განხილვა საბაკალავრო პროგრამების ზოგადი მოდულის პროგრამებთან დაკავშირებით;

9. მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის, ლელა ხომერიკის წარდგინების განხილვა ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, მარინე მურცხვალაძის სადისერტაციო თემისათვის „ცხოველთა სახეობების წარმოშობა და პოპულაციის სტრუქტურის კვლევა კავკასიაში“ რეცენზენტებისა და სადისერტაციო საბჭოს შექმნის შესახებ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. გიგი თევზაძე – საბჭოს თავმჯდომარე;
2. დავით აფრასიძე - სხდომის მდივანი;
3. მაია როგავა;
4. მარინე ჩხიკვიშვილი;
5. მიხეილ ელაშვილი.

2012 წლის 27 სექტემბრის აკადემიური საბჭოს სხდომაზე დადგინდა:

1. **დამტკიცდეს** - 2012 წლის 11 ივნისის №06/044 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში, ფილიალი - ბრიტანეთის საბჭო საქართველოს მიერ წარმოდგენილი ინგლისური ენის სწავლების პროგრამა დამტკიცებულ იქნას თანდართული სახით ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დადებითი დასკვნის საფუძველზე;
2. **დადგინდეს** - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტებს: თინათინ კიღურაძეს, ირინა ლობჯანიძეს და მარინე ლევიძეს ჟურნალ „კადმოსში“ გამოქვეყნებული სტატიები ჩაეთვალოთ საერთაშორისო რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიებად, ვინაიდან ჟურნალი „კადმოსი“ გაწევრიანებულია „EBSCO”-ს ბაზებში, ამ ეტაპზე გაფორმებულია კონტრაქტი

და მიმდინარეობს ტექნიკური პროცედურების განხორციელება, რათა ჟურნალი „კადმოსი“ გამოჩნდეს ,,EBSCO”-ს ბაზებში;

3. **დამტკიცდეს** - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ წარმოდგენილი დადებითი დასკვნის საფუძველზე, დამტკიცდეს მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის მოდიფიცირებული საბაკალავრო პროგრამა „ხელოვნება: მუსიკა major და minor “;
4. **დადგინდეს** - მოწონებულ იქნას სამართლის ფაკულტეტის მიერ წარმოდგენილი 2013 წლის ბიუჯეტი თანდართული სახით;
5. **დადგინდ**ეს - ცნობად იქნას მიღებული ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიში 2012-2013 წლის დამატებითი მობილობისათვის 83 ვაკანტური ადგილის გამოცხადების შესახებ;
6. **დამტკიცდეს** - 2012-2013 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის ცვლილებები თანდართული სახით და დოქტორანტურაში სასწავლო სემესტრი დაიწყოს 2012 წლის 15 ოქტომბრიდან;
7. **დამტკიცდეს** - მიენიჭოს საპატიო დოქტორის წოდება ეგვიპტის ალექსანდრიის ბიბლიოთეკის დირექტორს, დოქტორ ისმაილ სერაგელდინს;
8. **დამტკიცდეს** - დამტკიცდეს ზოგადი მოდული ფაკულტეტებისათვის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის 27.09.12№03-14709/12 დასკვნის მიხდევით წარმოდგენილი თანდართული სახით.
9. **დამტკიცდეს** - მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ეკოლოგიისა და კონსერვაციული ბიოლოგიის მიმართულების დოქტორანტის, მარინე მურცხვალაძის სადისერტაციო თემისათვის „ცხოველთა სახეობების წარმოშობა და პოპულაციის სტრუქტურის კვლევა კავკასიაში“ შეიქმნას სადისერტაციო საბჭო შემდეგი შემადგენლობით: ოთარ აბდალაძე, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ნათია კოპალიანი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, გიორგი გეგელაშვილი - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ზაალ კიკვიძე - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი, ჯეისონ ედ ფარლოუ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

საბჭოს თავმჯდომარე

გიგი თევზაძე

საბჭოს მდივანი

დავით აფრასიძე